სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080109709332816

 # 2603

13 / სექტემბერი / **2016 წ.**

შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 7 სექტემბერს (18:08სთ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის“ SMP160002423 და SMP160002424 მომართვები გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ლაბორატორიული რეაქტივებისა და სახარჯი მასალის (CPV-33100000 - სამედიცინო მოწყობილობები; CPV- 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ზემოაღნიშნული რეაქტივებისა და ლაბორატორიული სახარჯი მასალის შესყიდვის მიზნით 2016 წლის 2 და 3 აგვისტოს გამოცხადდა SPA160021754 და SPA160021820 ელექტრონული ტენდერები, რომლებიც 7 სექტემბერს დასრულდა უარყოფითი შედეგით. შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ვინაიდან ლაბორატორიული მომსახურება საჭიროა საავადმყოფოებში თითქმის ყველა მომართვისას, რეაქტივების გარეშე ვერ მოხდება აღნიშნული მომსახურების გაწევა, რაც გამოიწვევს საავადმყოფოების პარალიზებას და პაციენტების უკმაყოფილებას. ამასთან, შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრმა“ 2016 წლის 7 სექტემბერს ხელმეორედ გამოაცხადა SPA160024507 და SPA160024508 ელექტრონული ტენდერები ზემოაღნიშნული საქონლის შესასყიდად.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვებზე, შეაფასა მათში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვა ვერ განახორციელა სატენდერო პროცედურების საშუალებით. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვის განუხორციელებლობა გამოიწვევს საავადმყოფოების პარალიზებასა და პაციენტების უკმაყოფილებას. შესაბამისად, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შემსყიდველმა

ორგანიზაციამ SPA160024507 და SPA160024508 ელექტრონული ტენდერის შედეგის დადგომამდე, საჭირო რაოდენობით, მომართვაში მითითებული შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის“ SMP160002423 და SMP160002424 მომართვები და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე